ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
N529
(საქონლის შესყიდვა)

ქალაქი ფოთი **19 დეკემბერი 2023 წელი**

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი", მისი დირექტორის ლადო გუნიავას სახით შემდეგში ,,შემსყიდველი", და მეორეს მხრივ, შპს ,,ახალი ნათება" მისი გენერალური დირექტორის თემური არდოტელის სახით შემდეგში ,,მიმწოდებელი" ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის განსაზღვრის შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ,,შემსყიდველი" გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელებს შესყიდვას, ხოლო ,,მიმწოდებელი'' კი დანართში (დანართი N1) მითითებული მომსახურების (შემდეგში ,,საქონელი'') მოწოდებას.

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, შესყიდვის კატეგორია

2.1 შესყიდვის ობიექტი - ლედ ნათურის შესყიდვა
2.2 დაფინანსების წყარო: საკუთარი შემოსავლები

2.3 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

2.4 შესყიდვის კატეგორია - 31500000 - გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები
2.5 კლასიფიკატორის (CPV) კოდები - 31524120 - ჭერის სანათი
2.6 შესყიდვის ობიექტის კონკრეტული დასახელება მოცემულია ხელშეკრულების დანართში (იხ.დანართი N1)

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

3.1 შესასყიდი საქონლის მიწოდება განხორციელდება, 2023 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით.
3.2 შესასყიდი საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა).

4. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, 2024 წლის 24 იანვრის ჩათვლით.
4.2 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს შემსყიდველისათვის მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო დოკუმენტების (ანგარიშ-ფაქტურა, სასქონლო ზედნადები) წარდგენა არაუგვიანეს ყოველი თვის 5 რიცხვისა. შემსყიდველი ვალდებულია წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტების დადასტურება, ან ხარვეზის არსებობის შემთხვევაში პრეტენზიის გამოთქმა და შესაბამისი კორექტირების მოთხოვნა განახორციელოს საგადასახადო დოკუმენტების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4.3 შემსყიდველი იტოვებს უფლებამოსილებას მისი საჭიროებიდან გამომდინარე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად საფუძველზე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. ხელშეკრულების ღირებულება

5.1 სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 48 (ორმოცდარვა ლარი და 00 თეთრი) ლარი დღგ-სა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა, ტრანსპორტირების სხვა ხარჯების ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარი ჩარიცხვით.
6.4 მიღება-ჩაბარების აქტს ადგენს მიმწოდებელი მის მიერ ფაქტიური გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად და წარუდგენს შემსყიდველს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვისა.
6.5 ანგარიშსწორება განხორციელდება არაუგვიანეს 2023 წლის 25 დეკემბრისა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელი დროულ და ჯეროვან მომსახურეობის მიწოდებაზე.
7.2 მოწოდებული საქონელი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ მონაცემებს და შეესაბამებოდეს ხელშკერულების საგნით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებაზე და არ განახორციელოს ანგარიშსწორება.
7.3 მოწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება საურავი სახელშკერულებოს ღირებულების 0.02 % ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
7.5 შემსყიდველის მიერ აღნიშნული ხელშკერულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციიის შესყიდვების და სამართლებრივი საკითხების განყოფილების უფროსი ნათია სირაძე და მთავარი ბუღალტერი ლია ჭანტურია.
7.6 შემსყიდველის მხრიდან მოწოდებული საქონლის ხარისხზე და საქონლის დროულ მიწოდებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ქუჩების დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის განყოფილების უფროს გიორგი კირცხალიას.
7.7 მხარეები პასუხისმგებელნი არიან ხელშკერულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულ და ხარისხიან შეარულებაზე.
7.8 პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშკერულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშკერულებაში ნებისმიერი ცლილებისა და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმებისა და წერილობითი ფორმით დადასტურების საფუძველზე.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია:
- ამავე ხელშკრულების 4.3 პუნქტის საფუძველზე
- ერთ ერთი მხარის მიერ ხელშკერულების პირობების დარღვევის შემთხვევაში
- მხარეთა შეთანხმებით
- კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში

8.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ფორმდება ელექტრონულად, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ **„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო შესყიდვის ობიექტის შესახებ"** საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

9. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი"
დირექტორი

Poti Municipality Service Center
Digitally signed by Poti Municipality Service Center
Date: 2023.12.19 17:13:50 +04'00'

ლადო გუნიავა

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N12
ს/კ 415101507
სახელმწიფოხაზინა
სახაზინო კოდი: 75032

„მიმწოდებელი"

შპს „ახალი ნათება"

გენერალური დირექტორი

თემური არდოტელი

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №25ა

ს/კ: 202066156
მომსახურე ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"
ბ/კ: BAGAGE22
ანგარიშის ნომ: GE84BG0000000146039200

New Light LLC
Digitally signed by New Light LLC
Date: 2023.12.19 17:29:14 +04'00'

დანართი N1

ქ. ფოთი **19 დეკემბერი 2023 წელი**

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთეულის ფასი	ჯამი
1	ლედ ნათურა 12 ვტ	ცალი	3	9,00	27,00
2	ლედ ნათურა 18 ვტ	ცალი	2	10,50	21,00
	სულ:				48,00

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი”

ს/კ 415101507

ლადო გუნიავა

ხელმოწერა ----------

„მიმწოდებელი“

შპს „ახალი ნათება“

ს/კ: 202066156

თემური არდოტელი

ხელმოწერა ----------